პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

ინგა ბაქრაძე-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტი.

სალომე სიორდია-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი.

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 224066980

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [x] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ახალციხე 2018 წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“-ს მიერ 2018 წლის 1 აგვისტოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იქნა განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი #970627) ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის „იატაკის და ფილის სამუშაოები", „ვეტერინარია",“ხორცისა და ხორც პროდუქტების წარმოება", „შედუღება", „ხის მხატვრული დამუშავება"განხორციელების უფლებამოსილების მოსაპოვებლად. 2018 წლის 6 აგვისტოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საზოგადოებრივ კოლეჯს „ოპიზარი“ გაუგზავნა ხარვეზის წერილი რის პასუხადაც დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი 1009034, 1015290).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 20 აგვისტოს N760 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ჯანელიძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავჯდომარე)
ბ) ინგა ბაქრაძე-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტი(წევრი).
გ)სალომე სიორდია-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და აკრედიტაციის (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს დროულად მიეწოდა დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი მასალების სრული პაკეტი. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან და დადგენილ ვადაში წინასწარ მიეწოდა დაწესებულებას. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 29,30 აგვისტოს, შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. #106

ვიზიტის პირველ დღეს, შედგა შეხვედრა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ოპიზარი“ ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან. იმავე დღეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა დაწესებულებაში პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებული ნორმატიული დოკუმენტაცია. მათ შორის, მოთხოვნილ იქნა ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროგრამის განმახორციელებელ პირთა, პრაქტიკის ხელმძღვანელთა ხელშეკრულებები,პირადი საქმეები, რაც მატერიალური სახით ინახება კოლეჯში. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტი ექსპერტთა ჯგუფის წევრებს დაურიგდათ ვიზიტის დაწყების წინ რამდენიმე დღით ადრე. შესაბამისად, ეს დოკუმენტები წინასწარ იქნა შესწავლილი. ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა ძირითადად წარიმართა ადგილზე არსებული გარემოებების შესწავლისა და იმ საკითხების დაზუსტების კუთხით, რის დაზუსტებასაც სჭირდებოდა დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ახალციხე 2018 წელი)

ვიზიტის პირველ დღეს განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, შპს ,,ტაოფუდი“; შპს ,,მესხეთ პროდაქტი“; შპს ,,ირქა“; სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“, მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობა. შედგა ინტერვიუები პრაქტიკის ინსტრუქტორებთან. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს დღის განმავლობაში გაწეული მუშაობა.

სამუშაო ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი A, B, C გარემო, სახელოსნოები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა და პროგრამის მატერიალური რესურსის ცხრილთან შედარება. ამავე დღეს შემოწმებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდი, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური, მოხდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან. შემოწმდა სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით. ასევე განხორციელდა დამატებით ორი პრაქტიკის ობიექტის შემოწმება(შპს ,,ნადათი“, სპს,,ნიუ პროჯექტი“)

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და იმუშავეს დასკვნის პროექტზე. შეათანხმეს ძირითადი საკითხები. ვიზიტის ბოლოს შედგა დასკვნითი შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და კოლეჯის ადმინისტრაციასთან, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პასუხისმგებელ პირებთან, სადაც შეჯამდა ორი დღის მუშაობის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი დაასრულა 2018 წლის 30 აგვისტოს.
ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა მცირედი ცვლილება, პირველ დღეს ვერ მოესწრო ბოლომდე პრაქტიკის ობიეტების დაგეგმილი რაოდენობის ნახვა და დარჩენილი ნაწილი შემოწმდა მეორე დღეს.

ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ, მშვიდ და საქმიან გარემოში.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი,	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ახალციხე 2018 წელი)

	გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;			
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**
   - ✓ სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში სიტყვა პედაგოგის მაგივრად მოხსენიებული იყოს პროფესიული განათლების მასწავლებელი
   - ✓ გასწორდეს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში, პროგრამებში, ხელშეკრულებებში ტექნიკური და ენობრივი ხასიათის შეცდომები;
   - ✓ გაიწეროს მობილობის დროს მიღებული განათლების აღიარების და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები.
   - ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლს;
   - ✓ სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, (როგორიცაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მასწავლებელი, დამსაქმებელი, დაწესებულების ადმინისტრაცია და სხვა).

2. **მატერიალური რესურსი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ სასურველია,დეტალურად გაიწეროს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ინსტრუქცია;
- ✓ უზრუნველყოფილ იქნას ჩატარებული საქმიანობის, განხორციელებული პროექტების სათანადო ანალიზი.

3. **ადამიანური რესურსი**

- ✓ დაწესებულების პერსონალისა და პედაგოგების მიღების წესში დეტალურადაა გაწერილი თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პროფესიული განათლების მასწავლებლობის კანდიდატის მიერ კოლეჯის დირექციისადმი მიმართული განცხადება, შესაბამისად მსგავს განცხადებებში დაცული უნდა იყოს აღნიშნული წესის მოთხოვნები.

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა მოამზადოს პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიონალი კადრები, საზოგადოების უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური, მაღალი ზნეობრივი და მორალური ფასეულობების მქონე ადამიანური რესურსებით, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მის წარმატებულ საერთაშორისო ინტეგრაციას.

დაწესებულების მიზანია:რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნათა ანალიზის მიხედვით სპეციალისტთა მომზადება რეგიონის სტრუქტურული ერთეულებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მოსამზადებელი პროფესიების შერჩევა ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე, თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელება. მოკლევადიანი პროფესიული განათლების პროგრამებით წარმოებაში დასაქმებულ პირთა მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, თანამშრომლობა სხვა პროფესიულ კოლეჯებთან და დაწესებულებებთან. კოლეჯის ამოცანაა დაამკვიდროს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, შექმნას უსაფრთხო გარემო, შესძინოს სტუდენტებს საჭირო ცოდნა და უნარები, მუდმივად იზრუნოს პედაგოგების ხარისხობრივ ზრდაზე, იყოს კონკურენტუნარიანი.

მთავარი ფასეულობები

- აზრის გამოხატვის თავისუფლება
- პიროვნების დისკრიმინაციის დაუშვებლობა
- პროფესიონალიზმი

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრმების დამტკიცების უფლებამოსილების შესახებ

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მასში ცვლილებების შეტანა, დაგეგმვა, კანონმდებლობასთან შესაბამისობით მიზნების, კომპეტენციების, სასწავლო გეგმის განსაზღვრა, მოდულური პროგრამების შემუშავება/ადაპტირება ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ხელმძღვანელობით. პროცესში მონაწილეობას იღებენ პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლები. პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ,,შედუღება“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N06 5.02.2018წ), ,,ხის მხატვრული დამუშავება“(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N06 5.02.2018წ), ,,იატაკის და ფილის სამუშოები“(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N06 5.02.2018წ), ,,ვეტერინარია“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №61 30/07/2018) და ,,ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №61 30/07/2018)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურა გაწერილია საზოგადოებრივი კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები მოიცავს დანართებს N1-N7, რომელთა შორისაა: პროგრამის განხორციელების გეგმა განაწილებული კვირების მიხედვით; პროგრამის შემადგენელი ზოგადი, სავალდებულო/დარგობრივი პროფესიული მოდულების ჩამონათვალი; საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი; პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობა; აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსები.
აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები; პროგრამის მიზანი; სწავლის შედეგები; პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებული პროგრამის სატიტულო გვერდი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტების, საკონტაქტო ინფორმაციას როგორც დაწესებულების, ასევე და პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ.
ხუთივე პროგრამაში ნათლად ჩანს არაქართულენოვანთათვის ქართული ენის მოდულების გავლის პირობები.
პროგრამების სასწავლო გეგმებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა.ყველა მოდულის ბოლო გვერდზე ნაჩვენებია განმახორციელებელი პირის სახელი და გვარი, რომელიც ემთხვევა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დანართში შესაბამის მოდულზე მითითებულ პირებს.
პროფესიული სტუდენტის სრული კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 აკადემიურ საათს.

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასადასტურებლად დაწესებულება დაეყრდნო რეგიონის განვითარების პრიორიტეტებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სამცხე-ჯავახეთში ძირითადად მეცხოველეობა არის წამყვანი დარგი, შესაბამისად, კოლეჯი ცდილობს მიაწოდოს ბაზარს დარგის კვალიფიციური კადრები. კოლეჯში 2011 წლიდან ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი(მესამე საფეხური), რომელზედაც საკმაო მოთხოვნაა და შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელიც დიდია. რეგიონში არსებული სასაკლაოები და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები ითხოვენ კვალიფიციურ კადრებს, სთავაზობენ რა კოლეჯს მათი ობიექტები გამოყენებული იქნეს პრაქტიკული სწავლების ბაზად. აქედან გამომდინარე ,კოლეჯს მიზანშეწონილად მიაჩნია საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა ,,ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“ მეოთხე საფეხური - განახორციელონ საწარმოებთან თანამშრომლობით(სამუშაოზე დაფუძნებული - დუალური სწავლების პრინციპით). ასეთი სწავლების გამოცდილება კოლეჯს აქვს , ვინაიდან იგი ჩართული იყო „მეცხოველეობის“ დუალური პროგრამის პილოტირების პროცესში. ასევე კოლეჯმა 2014 წელს განახორციელა მოდულური პროგრამა ,,ვეტერინარია“ (მეოთხე საფეხური)და ფერმერი(მეოთხე საფეხური). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პროგრამებზე სურსათის უვნებლობის სამსახურს, ვეტ აფთიაქებს, ვეტერინართა ასოციაციასა და კერძო ფერმერების მხრიდან დიდი მოთხოვნაა. შესაბამისად მაღალია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელიც.

საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში ,,ხის მხატვრული დამუშავება“, ,,იატაკის და ფილის სამუშოები“, ,,ვეტერინარია“ და ,,ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“ რიგ შემთხვევაში არ იყო დაცული მოადულთა დაშვების წინაპირობები და დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის.
მაგალითად პროგრამაში:,,ხის მხატვრული დამუშავება“, მოდული „ ქართული ტრადიციული ხის ნაკეთობების დამზადება „ იწყება 41-ე კვირას, ხოლო ამ მოდულის წინაპირობა „ კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის“მთავრდება 44-ე კვირას ; პროგრამაში ,,ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“ მოდული „ცხოველთა დაავადებები სასურსათო პროდუქტების წარმოებაში“ იწყება მე-15 კვირას, ხოლო ამ მოდულის წინაპირობები „ბიოლოგია „ და „ცხოველთა ანატომიური-ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებები“ მთავრდება 43-ე და 45-ე კვირას ;რამდენიმე აცდენა იყო ,,ვეტერინარიის“ პროგრამაშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ახალციხე 2018 წელი)

აღნიშნული მიგნებების შესახებ ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო დაწესებულებას, რაზეც დაწესებულებამ ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული N75 (30.08.2018) N76 (30.08.2018) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შესწორებული სასწავლო გეგმით.

პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	**პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებელი ორგანიზაცია**	**მისამართი**	**ხელშეკრულების ნომერი/ გაფორმების თარიღი და მოქმედების ვადა**
,,შედუღება“	ი/მ ,,გიორგი პეტაშვილი“ საწარმო	ქ.ახალციხე ახალქალაქის გზატკეცილი	N47 02. 02.2018 3 წელი
	სსიპ-ბათუმის საზღვაო აკადემია	ქ. ბათუმი რუსთაველის ქN53	N68 29.07.2018 3 წელი
,,ხის მხატვრული დამუშავება“	შპს ,,ნადათი“	ქ.ახალციხე საფარის 10ა	N38 01.02.2018 3წელი
	ახალციხის სამხატვრო სკოლა		N43 01.02.2018 3 წელი
,,იატაკის და ფილის სამუშოები“,	სპს,,ნიუ პროჯექტი“	ქ.ახალციხე სულხან-საბას ნ18	N33 31.01.2018 3 წელი
,,ვეტერინარია“	სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია		N56 25.06.2018 3 წელი
	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო	თბილისი მარშალ გელოვანის N6 სამცხე ჯავახეთის რეგიონაალური სამართველო	N57 13.07.2018 2 წელი
	ნოვატური ფერმერი	ასპინძის რაიონი სოფ რუსთავი	N58 13.07.2018 2 წელი
	ი/ს სამველ მათევოსიანი	ახალციხის რ-ნი სოფ ხაკი(დაქვემდებარებული ფერმა)	N59 13.07.2018 2 წელი
	ვეტერინარული აფთიაქი	ქ.ახალციხე აბასთუმნისგზატკეცილი	N60 13.06.2018 2 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ახალციხე 2018 წელი)

	ვეტერინარული კლინიკა,,დადუ“	ქ.ახალციხე მანველიშვილის ქ.N4	N61 13.06.2018 2 წელი
	სასოფლო საკონსულტაციო სამსახური	ქ.ახალციხე თამარაშვილის ქ.N29	N62 13.06.2018 2 წელი
	შპს ,,ტაოფუდი“		N63 13.06.2018 2 წელი
	შპს ,,მესხეთ პროდაქტი“	დაბა ასპინძა ვარძიას ქ.N1	N64 1306.2018 2 წელი
	შპს ,,ირქა“	ქ.ახალციხე სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	N65 13.06.2018 2 წელი
	სამცხე ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია	ქ.ახალციხე გვარამაძის ქ.N27	N66 06.2018 2 წელი
	საქართველოს ბიზნეს განვითარების ხალციხის ოფისიცენტრი ,,კავკასია“ ა	ქ.ახალციხე გვარამაძის ქ.N27	N67 13.06.2018 2 წელი
,,ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“	სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია		N56 25.06.2018 3 წელი
	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო	თბილისი მარშალ გელოვანის N6 სამცხე ჯავახეთის რეგიონაალური სამართველო	N57 13.07.2018 2 წელი
	შპს ,,ტაოფუდი“		N63 13.06.2018 2 წელი
	შპს ,,მესხეთ პროდაქტი“	დაბა ასპინძა ვარძიას ქ.N1	N64 1306.2018 2 წელი
	შპს ,,ირქა“	ქ.ახალციხე სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	N65 13.06.2018 2 წელი

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიეტების დათვალიერება(შპს ,,ტაოფუდი“; შპს ,,მესხეთ პროდაქტი“; შპს ,,ირქა“; სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“, შპს ,,ნადათი“; შპს,,ნიუ პროჯექტი“), რის შედეგადაც დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტზე არსებობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ახალციხე 2018 წელი)

სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. შედგა ინტერვიუ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან/დუალური სწავლების ინსტრუქტორებთან. პრაქტიკის განმახორციელებელი პირი იცნობს შესაბამის პროგრამას;

დაწესებულებაში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ეფუძნება A, B და C სასწავლო გარემოს გამოყენების სიმძლავრეს და არეგულირებს თითოეულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას. ასევე გაითვალისწინება პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მზაობა ამა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღები რაოდენობების შესახებ.

დასტურდება :

- ✓ **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ოპიზარი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**
- ✓ **ვიზუალური დათვალიერებით**
- ✓ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები**
- ✓ **პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები**

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

- ✓ გასწორდეს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში, პროგრამებში, ხელშეკრულებებში ტექნიკური და ენობრივი ხასიათის შეცდომები;

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების კატალოგი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. მონაცემები პროფესიული პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე www.profikoleji-opizari.ge. რუბრიკაში - სწავლა, სადაც მითითებულია ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციის, კრედიტების რაოდენობის, პროგრამის ხანგრძლივობის, სწავლების ენისა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ. კატალოგი ასევე მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების, არის ჩამოყალიბებული კოლეჯის ძლიერი მხარეები. ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, კატალოგში წარმოდგენილია ფოტომასალაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება:

- კატალოგი სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ (http://www.profkoleji-opizari.ge/uploads/2018_weli/2018_katalogi.pdf)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „იატაკის და ფილის სამუშაოები"(მე-3 საფეხური), „ვეტერინარია"(მე-5 საფეხური),“ხორცისა და ხორც პროდუქტების წარმოება“(მე-4 საფეხური), „შედუღება"(მე-3 საფეხური), „ხის მხატვრული დამუშავება"(მე-3 საფეხური) სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:„იატაკის და ფილის სამუშაოები"(მე-3 საფეხური), „ვეტერინარია"(მე-5 საფეხური),“ხორცისა და ხორც პროდუქტების წარმოება“(მე-4 საფეხური), „შედუღება"(მე-3 საფეხური), „ხის მხატვრული დამუშავება"(მე-3 საფეხური)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯს ,,ოპიზარი" შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების რეგულაციები, რომლებიც განკუთვნილია როგორც პროფესიული, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის.

დასტურდება:

- **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ოპიზარი"'სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"**

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია :

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესით რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა და გაუქმების შემთხვევაში კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის ვალდებულებები, რომელთა შორისაა ამავე ან სხვა კოლეჯში სხვა პროგრამაზე გადასვლა და გადასვლისათვის საჭირო პროცედურების წარმართვა.

კოლეჯის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმის (შეთანხმების) საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლისა და მათ მიერ მოპოვებული კრედიტების/სწავლის შედეგების აღიარების უფლებით.

ამ მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან.

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს,,ოპიზარი" და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს ,,სპექტრი" შორის # 9 2018 წლის 22 აგვისტო .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს,,ოპიზარი“ და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს ,,მერმისი“ შორის # 8 2018 წლის 22 აგვისტო .
3. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს,,ოპიზარი“ და სსიპ პროფესიულ კოლეჯს ,,ბლექსი “ შორის # 7 2018 წლის 22 აგვისტო .
4. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს,,ოპიზარი“ და ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯს ,,ჰორიზონტი“ შორის # 6 2018 წლის 8 აგვისტო .
5. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს,,ოპიზარი“ და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ შორის 2015 წლის 11 აგვისტოს მემორანდუმის დამატებითი შეთანხმება # 5 2018 წლის 12 თებერვალი .
6. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს,,ოპიზარი“ და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს ,,აისი“ შორის # 3 2017 წლის 14 აგვისტო .
7. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს,,ოპიზარი“ და სსიპ პროფესიულ კოლეჯს ,,ერქვანი “ შორის # 4 2017 წლის 15 აგვისტო .
8. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს,,ოპიზარი“ და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს ,,ფაზისი“ შორის # 2 2016 წლის 30 ივლისი.
9. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს,,ოპიზარი“ და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის # 1 2016 წლის 10 მარტი .

დასტურდება:

- **სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები**
- **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ოპიზარი"“სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“**

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- გაიწეროს მობილობის დროს **მიღებული განათლების აღიარების** და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები.

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. შეფასების პროცესში ჩართული არიან ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები. დაწესებულებაში ხდება პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა პროგრამის განმახორციელებელ პირთა და პროგრამების შეფასების მიზნით. ტარდება სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, რომლის შედეგები ანალიზისათვის გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

დაწესებულებაში ასევე შემუშავებულია პროფესიული განათლების პროგრამების, სილაბუსების შეფასების ფორმები.

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- კათედრების დებულება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლს;

✓ სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, (როგორიცაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მასწავლებელი, დამსაქმებელი, დაწესებულების ადმინისტრაცია და სხვა).

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:კოლეჯის სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს მიერ საკადასტრო კოდი [redacted] გადაცემული აქვს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი 30674.00კვ.მ მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობებით:#1(სახელოსნო) განაშენიანების ფართი-1192კვ.მ,სასარგებლო ფართი997,9კვ.მ.#2(სახელოსნო-სარეაბილიტაციო) განაშენიანების ფართი-1038კვ.მ,სასარგებლო ფართი943,9კვ.მ.#3(სასწავლო კორპუსი ოთხ სართულიანი) განაშენიანების ფართი-602კვ.მ, სასარგებლო ფართი2631,1კვ.მ .#4(საწყობი-სარეაბილიტაციო) განაშენიანების ფართი 308კვ.მ, სასარგებლო ფართი-268,8კვ.მ.#5 (საქვაბე)განაშენიანების ფართი-22კვ.მ , სასარგებლო ფართი-21,4კვ.მ.

დასტურდება:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდა (საკადასტრო.კოდი. [redacted]);
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს A, B და C გარემოები. A და B გარემოები.აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით, თანამედროვე სტანდარტის მერხები პროფესიული სტუდენტებისათვის, მაგიდა და სკამი პროფ. მასწავლებლისათვის, კომპიუტერები და სადემონსტრაციო ტექნიკა, პრინტერი, ასლგადამღები. ხოლო სახელოსნოები და C გარემოები აღჭურვილია წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსების ცხრილის შესაბამისად.

A, B და C გარემოები მდებარეობს სხვადასხვა სართულზე, კოლეჯის ძირითად შენობაში. დამატებით მოწყობილია სახელოსნოები, რომლებიც განლაგებულია შენობის 0 სართულზე, თუმცა ყველა სახელოსნოს აქვს პირველად განათება და ბუნებრივი ვენტილაცია, გათბობა. ასევე დამატებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელოსნოები მოწყობილია ეზოში რათა ჩარხების ხმაურმა არ შეუშალოს ხელი ძირითად შენობაში მიმდინარე სასწავლო პროცესს.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით
- სასწავლო პროგრამების მატერიალური რესურსების დანართებით;
- საინვენტარო წიგნებით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში პროფესიული პროგრამების განხორციელების ადგილები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები,სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით.

დასტურდება:

ვიზუალური დათვალიერებით;
კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია კატალოგში(როგორც ბეჭდური , ისე ელექტრონული სახით), ელექტრონული წიგნები ატვირთულია დაწესებულების ვებ გვერდზე(http://vet.ge/სიახლეები-და-მულტიმედია/რესურსები/edu_resources/) რაც იძლევა სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის სასწავლო რესურებთან თავისუფალი წვდომის საშუალებას. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. მოქმედებს მკითხველის ბარათები, დგას პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები. გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
ვიზიტის დროს შესამოწმებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა შემოწმდა შერჩევით. ყველა მოთხოვნილი წიგნი აღმოჩნდა ადგილზე. ბიბლიოთეკაში ყოველწლიურად ხდება წიგნადი ფონდის საჭირო ლიტერატურით შევსება.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნები;
- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგებით;
- ხელშეკრულებით;
- ვებ გვერდით (http://www.profkoleji-opizari.ge/index.php?pg_id=1&kat=12562020358157&lang=1) წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცით;

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, სადემონსტრაციო საშუალებებით.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ახალციხე 2018 წელი)

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ხელშეკრულებით ინტერნეტ პროვაიდერთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. შემუშავებულია საქმისწარმოების წესი. შემოსული და გასული წერილები, ბრძნებები აღირიცხება eFlow .

.კოლეჯის ძირითადი დოკუმენტაციის წარმოება ხდება ელექტრონული სახით.ასევე არსებოობს ბრძანების, ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი აკინძულია, გვერდები დანომრილი .

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების ნორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განთავსებულია შენობის თითოეულ სართულზე, მოწყობილია სპეციალური სახანძრო სტენდები, გადამოწმებით დადგინდა, რომ ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია.

ბ) ყველა სართულზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები.

გ) დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი და შეძენილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. დანიშნულია შესაბამისი სამედიცინო პირი.

დასტურდება:

- ადგილზე დათვალიერებით;
- შრომის ხელშეკრულებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის დაწესებულებაში დამონტაჟებულია პანდუსები, არის შესაბამისი სველი წერტილები, ლიფტი, შენობა ადაპტირებულია მხედველობადაქვეითებული პირებისთვისაც.

დასტურდება:

✓ **ვიზუალური დათვალიერებით.**

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას როგორც პროფესიული, ასევე პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირებისთვის. მასზე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები,სტრუქტურა, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიული პროგრამები, პროგრამების კატალოგი. განახლებადი ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე კონკურსების, პროექტების, კონფერეციების, თუ სხვა სიახლეების შესახებ. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ფოტო-გალერეა, საკონტაქტო ინფორმაცია.

დასტურდება:

- ✓ http://www.profkoleji-opizari.ge
- ✓ **ვიზუალური დათვალიერებით**

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულებაში მისი სტატუსის შესაბამისად შემუშავებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა (2014-2020) და სამოქმედო გეგმა (2018), რომლებიც განთავსებულია ვებგვერდზეც(http://www.profkoleji-opizari.ge/uploads/2014-2020.pdf, http://www.profkoleji-opizari.ge/uploads/2018_weli/2018_ertcliani.pdf). სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია კოლეჯის ინფრასტრუქტურული განვითარების სამუშაოები(ახალი სახელოსნო კომპლექსისი მშენებლობა, რომელშიც შევა: მზარეულის, კონდიტერის, სარესტორნო საქმისმწარმოებლის, დურგალის, შემდუღებლის, ზეინკალის, ავტომობილის შემკეთებლის, აგრარული ტექნიკის მექანიკოსის, ხილ-ბოსტნის გადამამუშავებლის, მცენარეთა დამამზადებლის, სამშენებლო სპეციალობების სახელოსნოები და სპორტული დარბაზი;კოლეჯის სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის აშენება(მინიმუმ 50 სტუდენტზე);4 ქალაქის მერიასთან თანამშრომლობით სპორტული მოედნის მოწყობა კოლეჯის კუთვნილ ტერიტორიაზე) ასევე ჩართულობა სხვადასხვა პროგრამებში.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "ოპიზარი" 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა 2018 წელი
- http://www.profkoleji-opizari.ge/uploads/2014-2020.pdf
- http://www.profkoleji-opizari.ge/uploads/2018_weli/2018_ertcliani.pdf

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

✓ სასურველია,დეტალურად გაიწეროს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ინსტრუქცია;

✓ უზრუნველყოფილ იქნას ჩატარებული საქმიანობის, განხორციელებული პროექტების სათანადო ანალიზი.

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია დირექტორი ბრძანებით დამტკიცებულ „მუშაკთა თანამდებობრივ ინსტრუქციაში“.თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება:

- *სტრუქტურა*
- „მუშაკთა თანამდებობრივ ინსტრუქციაში“ - *#03 10.07.2014*
- *პირადი საქმეები*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის/შრომითი გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ.

ვიზიტის დროს წარმოდგენილი პროგრამების განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი

დასტურდება:

- ✓ პროფესიული განათლების მასწვალებლების პირადი საქმეები;
- ✓ შრომის ხელშეკრულებები
- ✓ ბრძანებები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლების მიღება ხდება დაწესებულების პერსონალისა და პედაგოგების მიღების წესში(მუხლი 15 სამუშაოზე მიღების წესი) გაწერილი მოთხოვნების დაცვით.

შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის ბრძანებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიზიტის დროს შემოწმდა პირადი საქმეები, ყველა პირადი საქმე მოწესრიგებულია სათანადოდ, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.ბრძანებები გატარებულია შესაბამის ჟურნალში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალისა და პედაგოგების მიღების წესი (ბრძ #03 10 ივლისი 2014)
- პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

✓ დაწესებულების პერსონალისა და პედაგოგების მიღების წესში დეტალურადაა გაწერილი თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პროფესიული განათლების მასწავლებლობის კანდიდატის მიერ კოლეჯის დირექციისადმი მიმართული განცხადება, შესაბამისად მსგავს განცხადებებში დაცული უნდა იყოს აღნიშნული წესის მოთხოვნები.

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	შედუღება	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში-041274	38	53	ქართული	ახალციხე, რუსთაველის ქ 106	0	30
2	ხის მხატვრული დამუშავება	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში-080393	89	104	ქართული	ახალციხე, რუსთაველის ქ 106	0	32
3	იატაკის და ფილის სამუშაოები	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში-040689	77	92	ქართული	ახალციხე, რუსთაველის ქ 106	0	45
4	ვეტერინარია	მეხუთე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო	120	150	ქართული	ახალციხე, რუსთაველის ქ 106	0	45

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ახალციხე 2018 წელი)

			პროდუქტების წარმოებაში- 010252						
5	ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში- 041065	85	115	ქართული	ახალციხე, რუსთაველის ქ 106	0	10

IX. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი
31.08.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ახალციხე 2018 წელი)